საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება №1227

თბილისი „04“ 10 2019 წ.

2019-2020 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მაგისტრატურის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული მაგისტრანტების სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების მისაღებად წარსადგენი განცხადების ფორმისა და დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N468 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტების, „2019-2020 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მაგისტრატურის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული მაგისტრანტების სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 24 სექტემბრის N464 დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2019 წლის 27 სექტემბრის N1280028 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად დამტკიცდეს 2019-2020 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მაგისტრატურის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული მაგისტრანტების სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების მისაღებად წარსადგენი განცხადების ფორმა.
2. ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად დამტკიცდეს 2019-2020 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული მაგისტრანტების სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების მისაღებად წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა.
3. დაევალოს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ვებგვერდზე.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6).

მიხეილ ბატიაშვილი

შემსრულებელი:

იურიდიული დეპარტამენტის სამართალშემოქმედების სამმართველოს მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

---------- 04.10.2019 /ნინო ეგრისელაშვილი/

შეთანხმებულია:

იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილესთან

----------/ეკატერინე მაჩიტიძე/

იურიდიული დეპარტამენტის უფროსთან

---------- 04.10.2019 /დავით ლომინაშვილი/

უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსის ფუნქციათა შემსრულებელთან

---------- /ნათია გაბიტაშვილი/

ბრძანება გაეგზავნოს:

1. იურიდიულ დეპარტამენტს;
2. უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტს;
3. სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს;
4. შიდა აუდიტის დეპარტამენტს;
5. ადმინისტრაციას (დეპარტამენტს).

0001734

დანართი N1

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის
მინისტრს, ბატონ მიხეილ ბატიაშვილს

მოქალაქე .....
(გვარი, სახელი, მამის სახელი)
.....
(პირადი ნომერი)
მისამართი .....
ტელეფონი .....

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

.....წლის საერთო სამაგისტრო გამოცდებით
(მიუთითეთ რომელი წლის საერთო სამაგისტრო გამოცდები ჩააბარეთ)
მოვიპოვე სწავლის უფლება.....
(მიუთითეთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სამაგისტრო პროგრამა)

მივეკუთვნები საქართველოს მთავრობის 2019 წლის 24 სექტემბრის №464 დადგენილებით განსაზღვრულ შემდეგ კატეგორიას/კატეგორიებს: ....
.....
.....
(მიუთითეთ კატეგორია/კატეგორიები)

გთხოვთ, განიხილოთ ჩემი კანდიდატურა სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების მიზნით.

განმცხადებელი ვალდებულია წარმოადგინოს ყველა ის დოკუმენტი, რომელიც მოეთხოვება განცხადებაში მითითებული კატეგორიის/კატეგორიების მქონე პირს.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია:
.....
.....
.....
.....

დანართი: ..... ფურცელი.

ვადასტურებ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ინფორმაციის ნამდვილობას და ვაცნობიერებ აღნიშნულთან დაკავშირებით ჩემ პასუხისმგებლობას. თანახმა ვარ ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურის და სპორტის სამინისტრომ დაამუშაოს ჩემი პერსონალური მონაცემები.

განმცხადებლის ხელმოწერა .....
განცხადების შევსების თარიღი.....

დანართი N2

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მაგისტრატურის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული მაგისტრანტების სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსებისთვის წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა

1. მაგისტრანტებმა, რომლებიც არიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა, ასევე 1998 წლის მაისისა და 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა შვილები, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად სამინისტროში 2019 წლის 21 ოქტომბრის ჩათვლით უნდა წარმოადგინონ:

1.1. განცხადება;

1.2. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;

1.3. დაბადების მოწმობის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

1.4. სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ გაცემული მოწმობის ასლი, რითაც დასტურდება, რომ სტუდენტი არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა შვილი ან სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც დასტურდება რომ სტუდენტი არის 1998 წლის მაისისა და 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულის შვილი; ან სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ გაცემული ცნობა, მშობლის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ;

1.5. მშობლის/მშობლების გარდაცვალების მოწმობის ნოტარიულად დამოწმებული ასლი/ასლები.

2. მაგისტრანტებმა, რომლებიც არიან მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად სამინისტროში 2019 წლის 21 ოქტომბრის ჩათვლით უნდა წარმოადგინონ:

2.1. განცხადება;

2.2. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;

2.3. მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი სამედიცინო ცნობის (ფორმა №IV-50/4) ნოტარიულად დამოწმებული ასლი.

3. მაგისტრანტებმა, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 70000-ზე, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად სამინისტროში 2019 წლის 21 ოქტომბრის ჩათვლით უნდა წარმოადგინონ:

3.1. განცხადება;

3.2. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;

3.3. ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან. (ორიგინალი დოკუმენტი, რომელსაც განცხადების შემოტანის მომენტში აქვს მოქმედების ვადა).